



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 163/ს  
11/04/2023

163-21-4-202304111645



### ქ. ქუთაისში ი/მ მირზა ცირეკიძის მიერ სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ი/მ მირზა ცირეკიძის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში არსებული სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2022 წლის 5 აგვისტოს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ი/მ მირზა ცირეკიძის კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073037 ოქმი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმო მოწყობილია ქ. ქუთაისში, ახალგაზრდობის გამზირის №19ა-ში, ი/მ მირზა ცირეკიძის საკუთრებაში არსებული ქვის სახერხი საამქროს ტერიტორიაზე (ს/კ: 03.06.25.176; ფართობი: 1375 მ<sup>2</sup>). აღნიშნული ქვის სახერხი საამქრო ფუნქციონირებს 2011 წლიდან (დახურულ შენობაში) და ახორციელებს ტემენიტის ქვის (80 000 ტ/წელ) სველი მეთოდით ხერხვა-გაპრიალებას, რაც არ ექვემდებარება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის შემუშავებას. ტემენიტის ქვის დამუშავების შედეგად წარმოიქმნება არასტანდარტული ჩამონაჭრელები და ნატეხები (ჯამურად 2 000 ტონა), რომლის გადამამუშავებაც ხდება ობიექტზე განთავსებულ სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარზე (GPS კოორდინატები: X-311454, Y-4677998). უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 160 მეტრით. სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოდან 500 მეტრში მდებარეობს შპს „ქუთაისის ქვის ქარხანის“ კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმო.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავების მიზნით მოწყობილი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი აღჭურვილია სათანადო კომპლექტაციით, რომლის შემადგენლობაში შედის: ღია სასაწყობე მოედანი, ყბებიანი

სამსხვრევი (20 მ<sup>3</sup>/სთ), მბრუნავი ცხაური და სასაწყობე უბანი. სრული დატვირთვის პირობებში, სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარზე შესამღებელია 38 400 მ<sup>3</sup> სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაციით, ობიექტზე ხორციელდება წელიწადში მხოლოდ 2 000 ტონა ტემენიტის ქვის მშრალი მეთოდით მსხვრევა. საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 240 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს და დასაქმებულია 3 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს შემდეგ ოპერაციებს: ქვის სველი მეთოდით ხერხვის შედეგად წარმოქმნილი ნატეხები თავსდება ღია სასაწყობო უბანზე, საიდანაც, ხელის ნიჩბის საშუალებით, მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს. დამსხვრეული ნედლეული გადადის მბრუნავ ცხაურში, სადაც ხდება მისი სამ ფრაქციად (06 მმ, 0-10 მმ, 0-15 მმ) დახარისხება. ცხაურიდან ჩამოყრილი შესაბამისი ფრაქციის ღორღი, ხელის ნიჩბით, იყრება ტომრებში და თავსდება სასაწყობო უბანზე. მზა პროდუქციის სარეალიზაციოდ გატანა ხორციელდება მარაგადახურული ავტოთვითმცლელების საშუალებით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება როგორც სასმელ-სამეურნეო მიზნით, ისე ქვის სველი მეთოდით ხერხვისას, რისთვისაც წყალდება ხორციელდება ქ. ქუთაისის ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი წყალი, შემკრები ღარების მეშვეობით, გროვდება საწარმოო შენობის სარდაფში მოწყობილ ორგანოფილებიან სალექარში (საერთო მოცულობა: 11946.24 მ<sup>3</sup>). სალექარიდან, გაწმენდილი წყალი, ტუმბოს მეშვეობით, გადაინაცვლებს წყალშემკრებ ავზში, საიდანაც თვითდინებით მიეწოდება ტექნოლოგიურ დანადგარებს (ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა). ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დაერთებულია ქალაქის საკანალიზაციო სისტემაზე. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაიჟონება გრუნტში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების - არაორგანული მტვრის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ქვის სახერხისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობრივი მაჩვენებლები. დოკუმენტის, შესაბამისად, სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარზე წლიურად გადასამუშავებელი სასარგებლო წიაღისეულის რაოდენობის (2000 ტონა) და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის (160 მეტრი) გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილი ხმაურის გავრცელების შედეგების მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 30.25 დბა-ს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციისას ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას

უზრუნველყოფს კომუნალური სამსახური, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები. ობიექტი განთავსებულია სამრეწველო ზონაში, არსებული ქვის სახერხი საამქროს ტერიტორიაზე, ანთროპოგენურად სახეცვლილ გარემოში. საწარმოს ტერიტორია სრულად მოშანდაკებულია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. ანთროპოგენური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ტერიტორია არ წარმოადგენს ცხოველთათვის ხელსაყრელ საბინადრო გარემოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 500 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ქუთაისის ქვის ქარხანის“ კუთვნილი ტემენიტის ქვის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის წლიური წარმადობა შეადგენს 3000 მ<sup>3</sup> და სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავება ხორციელდება კაპიტალურ შენობაში. აღნიშნული საწარმოების მცირე წარმადობების და ერთმანეთთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ორივე ობიექტის ერთობლივი ექსპლუატაციის შედეგად, გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ადგილმდებარეობისა და წარმადობის (2 000 ტ/წელ) გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში ი/მ მირზა ცირეკიძის მიერ სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ი/მ მირზა ცირეკიძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ი/მ მირზა ცირეკიძეს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ი/მ მირზა ცირეკიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო